



## რე-ანიმაცია

ერთ დღეს ტროლეიბუსში ჩავჯექი. ზუსტად სად მიდიოდა არ მახსოვს, და წავედი ფიქრებში.ფანჯრიდან, ქალაქის ხედი იცვლებოდა. იყო ჯერ მინდორი, მერე სახლები, შემდეგ კი კორპუსები.

ქუჩის მეორე მხარეს ხალხი მისეირნობდა, მუშები, მათ მოყვებოდნენ ოჯახები, პატარა ბავშვები. ოდნავ მოშორებით, სტუდენტებიც შევნიშნე. ზოგი ალბათ სხვა ქვეყნიდან იქნებოდა ჩამოსული.

ორნახევარი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც რუსთაველებმა გადაწყვიტეს თავისი ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმისათვის საერთო ბრძოლის საქმეში და იარონ თანამედროვეობის შესანიშნავი მოძრაობის პირველ რიგებში.

შორიდან ქარხნები მოჩანდა, ინდუსტრიული ეპიცენტრი. საკვამლურებიდან ამოსული ბოლი თითქმის შეუმჩნევლად გადადიოდა ღრუბლებში.

არემო სწრაფად იცვლებოდა, თითქოს მიზანმიმართულად. საიდანღაც რბოლის ხმა მომესმა და შემახსენა, რომ ავტოტრეკის მიდამოებში ვიმყოფებოდი. ხმაურმა ფიქრებიდან შემაღვიძა, მერე დავაკვირდი, რომ ტრანსპორტში მარტო ვიყავი. ტროლეიბუსი არ იძვრებოდა, იმიტომ რომ ბორბლები არ ქონდა. საერთოდ, უკვე დიდი დრო გავიდა იმის მერე, რაც რუსთავში ტროლეიბუსს აღარ გაუვლია ქუჩაში.

დღეს, ერთ სადგომზე დგას ქალაქის ყველა ტროლეიბუსი. ზოგს ბორბალი აკლია, ზოგს ფანჯარა აქვს ჩატეხილი, მძღოლი არცერთს აღარ ყავს.

თუმცა, მგზავრობა მსურველს დღემდე შეუძლია.

## რე-ანიმაცია?

რე-ანიმაცია არის პროექტი, რომელიც ეფუძვნება **2011** წელს ჩატარებულ კვლევას რუსთავის ალტერნატიული სივრცეების შესახებ.
ქალაქის ჩამოყალიბების, განვითარების და ტრანსფორმაციის ამსახველი ადგილები დღემდე შემონახულია, ერთ-ერთი მათგანი, ტროლეიბუსების სადგომია. წარსულში, ტროლეიბუსი რუსთავის პროგრესის მაჩვენებელი იყო, ხოლო ქალაქის განვითარების ფონზე უფუნქციოდ იქცა.

ტროლეიბუსი?

როცა გარემო ცვალებადია, ქალაქში არსებული სივრცეებიც შესაბამისად იცვლება.
**1.** სივრცე ქრება, იდეური როგორც ფიზიკური არსებით.
**2.** სივრცე ფუნქციას იცვლის, ახალი შინაარსი ენიჭება.
**3.** სივრცე რჩება გარემოში როგორც სხვა დროის გადმონაშთი.

ტროლეიბუსი ამ შემთხვევაში გამოყენებულია როგორც ქალაქის ტრანსფორმაციის სიმბოლო. წარსულის გადმონაშთია, რომელიც პიზიკურად ჯერ კიდევ არსებობს, თუმცაცნობიერებიდან ამოვარდნილია.

მიზანი
აღნიშნული პროექტი არის მცდელობა, მოხდეს ალტერნატიული, საინტერესო, ახალი სივრცის ათვისება, ერთის მხრივ წარსულზე და აწმყოზე დაკვირვება, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ადგილების გაცოცხლებით ახალი პერსპექტივების წარმოჩენა.

ტექსტი : თათა მუსხელიშვილი

# re-animation

## re-animation?

re-animation is a project based on a research (2011) about the alternative spaces of Rustavi.
There are places which visualize the development and transformation of the city in a particularly distinct manner. One of them is the trolleybus parking lot. Trolleybuses used to be a sign for progress, though they became functionless due to the economic and social evolution of Rustavi.

trolleybuses?

In a transformative environment, certain spaces located within it, change accordingly.

1. The place disappears completely, including its visual, physical, and mental perception.

2. The place alters its function within the environment.

3. The place remains as a remnant from a past time.

In this case, the trolleybuses stand as a symbol for the transformation the city of Rustavi has undergone. As remnants from the past, they still are physically existent; however they are completely excluded from the general social consciousness.
aim
re-animation is the attempt to spot alternative, exciting spaces within a seemingly completely familiar environment. On one hand, this happens in order to rearrange the views of the past and of the present, on the other hand, to raise new perspectives and revive these places.

text: Tata muskhelishvili

One day, I got on the trolleybus. I cannot remember the destination, so I lost myself in thoughts.

The view of the city in the window kept changing. First, there were a lot of fields; after that, a number of houses, followed by huge amounts of apartment blocks. On the other side of the street, I noticed people walking by, mainly workers in company of their families and little children. Further apart, there seemed to be students as well. I could imagine them having arrived here from another country.

It has been two and a half years since the inhabitants of Rustavi decided to do their glorious bit in the mutual fight for communism and join the marvelous movement of modernization in the front rows.

From a distance, I could spot factories; the industrial epicenter. The fume emerging from the smokestacks almost unnoticeably blended with the clouds. The environment kept altering on an almost targeted base. The sudden sound of squeaking wheels reminded of the fact that I had to be somewhere nearby the car race track. I woke up from my thoughts due to the noise and noticed only then that I was all alone in the trolleybus. Neither was it driving, as it had no wheels at all. Anyway, some years have passed since the last trolley drove in the streets of Rustavi.

Today, all buses of the city are standing on one parking lot. Some are lacking wheels, some have their windows bruised. None of them are being driven anymore.

**Though, it is still possible to get a ride...**




მონაწილეობენ
ანა ბერიძე // ბესა ქართლელიშვილი // კოკა ვაშაკიძე // სანდრო სულაბერიძე //
ანა ჩადუნელი // თამარ ჩადუნელი // კატარინა შტადლერი // ჰანს ჰაინერ ბური //
ავთო მესხი // ტურგენევსკაია // შალ-არტი // თამარ მუსხელიშვილი //
გალაქტიონ ერისთავი // ალექსი სოსელია // გეგი ხაბურზანია //

Participants
anna beridze // bessa kartlelishvili // koka vashakidze // sandro sulaberidze // gegi khaburzania //
ana chaduneli // tamar chaduneli // katharina stadler // hans heiner buhr // avto meskhi //
turgenevskaya // shallArt// tamar muskhelishvili // galaqtion eristavi // aleksi soselia //

noplaces.wordpress.com tetsi.ge cca.ge caucasusartmag.com